

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
Tbilisi Sul Khan-Saba Orbeliani State Pedagogical University

ISSN 1512-2131

ქ რ უ ჯ ე ს ე
PROMETHEUS

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
Periodical Scientific Journal

6 (18)



თბილისი * Tbilisi
2005

ეკონომიკა

შორენა მაღლაკელიძე

ინტელექტუალური კაპიტალის არსი და სტრუქტურა

ერის ეკონომიკური სიძლიერე, მისი კეთილდღეობა, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ეკონომიკის უნარით, შექმნას და ეფექტიანად გამოიყენოს ინტელექტუალური კაპიტალი. საზოგადოება, რომელიც ღიაა ცოდნის, იდეებისა და ინფორმაციის იმპორტისათვის, ეკონომიკა, რომელსაც უნარი შესწევს პროდუქტიულად გადაამუშაოს იგი, წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური კაპიტალის ცნების გარშემო აქტიური სამეცნიერო დისკუსიები მიმდინარეობს, ჯერ-ჯერობით ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გვხვდება ამ კატეგორიის ერთგვაროვანი განმარტება. მიუხედავად ამისა ყველანი ერთსულოვანია ინტელექტუალური კაპიტალის არსისა და როლის შეფასებაში.

ინტელექტუალური კაპიტალის ცნების განსაზღვრისათვის აუცილებელი იქნება:

1. დავეყრდნობთ ინტელექტუალური კაპიტალის ეკონომიკურ არსსა და ფუნქციებს,
2. განვიხილოთ იგი როგორც იურიდიული კატეგორია.

ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებისადმი ორგვარი მიდგომა გამართლებულია იმით, რომ მისი ეკონომიკური არსის ახსნა ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ბაზის გაფართოების საშუალებას იძლევა. ახალი ობიექტების გამოვლენის შესაბამისად ინტელექტუალური კაპიტალის ცნება, განხილული ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო ფართო და ყოვლისმომცველია, ვიდრე იურიდიული თვალსაზრისით. მასში შედის არა მარტო იმ ობიექტთა ერთობლიობა, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს იურიდიულად დასაბუთებული საკუთრება-ინტელექტუალური შრომის შედეგებსა და ინტელექტუალური შემოქმედების საშუალებებზე, არამედ, ასევე ადამიანის პირად უნარზე, რომელზეც საკუთრება იურიდიულად დასაბუთებული არ შეიძლება იყოს, მისი არამატერიალური ხასიათისა, და ასევე იმის გამოც, რომ არ შეიძლება მისი განცალკევება პიროვნებისაგან.

ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანის ცოდნის, უნარის, გამოცდილების ერთობლიობას; მის მობილურობას (ახალი ინფორმაციის მიღებისა და აღქმის უნარს, სწავლებას, გადამზადებას, ახალ პირობებთან შეგუებას), კრეატიულობას (არაორდინალურად

აზროვნებას, იღვის ჩამოყალიბების უნარს), რაც უზრუნველყოფს პროდუქციის შექმნის შესაძლებლობებს.

ინტელექტუალური კაპიტალის ცნების დამკვიდრება დაკავშირებულია გასული საუკუნის 80-90-იან წლებთან. ეს პერიოდი ცნობილია განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტუალიზაციისა და ინფორმატიზაციის პროცესის დაწყებით. ცოტა უფრო ადრე, 60-70-იანი წლებიდან მსოფლიოში დაიწყო კვალიფიციური კადრების მიზიდვის (გადაბირების) პროცესი. ამ პირობებში, როცა მუშაკი წყვეტს იმაზე მეტ საკითხებს, რომელიც ცოტა ადრე წარმოუდგენელი იყო, ჩნდება ადამიანისეული კაპიტალის თეორია. ამ პროცესის საფუძველია თვით მუშაკის უნარი, იაზროვნოს და თავისი ინტელექტით აწარმოოს სპეციფიკური-ინტელექტუალური პროდუქტი. ამასთანავე აღიღებს რა თავისი ცოდნისა და უნარის მარაგს, მაღალ დონეზე იყენებს უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიებს და ამდენად მონაწილეობს დამატებული ღირებულების წარმოებაში.

მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზმა მიიყვანა მეცნიერები სამუშაო ძალის უშუალოდ ინტელექტუალური ფუნქციის გამოყოფამდე. ეს და სხვა მრავალი ფაქტორი, რომელთა შორისაა საწარმოო პროცესების უკვე აღნიშნული ინტელექტუალიზაცია და ინფორმატიზაცია გახდა საფუძველი ინტელექტუალური კაპიტალის ცნების დამკვიდრებისა.

ტერმინი „ინტელექტუალური კაპიტალი“ პირველად ჯონ გელბრეიტმა გამოიყენა (1969წ), (1) ხოლო ინტელექტუალური კაპიტალის არსის განსაზღვრა, დასაბუთება და დამკვიდრება დაკავშირებულია ტომას სტიუარტის სახელთან. სტატიაში „ინტელექტის ძალა: თუ როგორ ხდება ინტელექტუალური კაპიტალი ამერიკის შედარებით ღირებული აქტივი“ (1991წ), და შემდეგ ნაშრომში „ ინტელექტუალური კაპიტალი-ორგანიზაციის სიმდიდრის ახალი წყარო“, მან განმარტა ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც ყველაფერი იმის ჯამში, რაც იცის კომპანიის თანამშრომლებმა, და რაც აძლევს კონკურენტულ უპირატესობას კომპანიებს ბაზარზე.(2) შემდგომში თანდათან ხდებოდა ინტელექტუალური კაპიტალის განსაზღვრის დაზუსტება. ასე მაგალითად, ლ. ედვინსონმა (კომპანია „სკანდია“) ინტელექტუალური კაპიტალი განსაზღვრა, როგორც ცოდნა, რომლის კონვენტირებაც შეიძლება მოხდეს ღირებულებაში.(3) ლ პრუსაკუს მიხედვით (IBM), ინტელექტუალური კაპიტალი არის ინტელექტუალური მასალა, რომელიც ფორმირდება, გადამუშავდება და გამოიყენება კომპანიის აქტივების ღირებულების გადიდებისათვის. ე. ბრუკინგის მიხედვით კი ინტელექტუალური კაპიტალი არის ტერმინი იმ არამატერიალური აქტივების აღსანიშნავად, რომლის გარეშეც კომპანია ვერ იარსებებს.(4) აღნიშნული წარმოადგენს ინტელექტუალური კაპიტალის შეფასებას პრაქტიკოსის პოზიციიდან, რომელიც შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად იყენებს არამატერიალურ აქტივებს, რომელთა შეფასება და მართვა რეალურად განხორციელებადია.

გ. ინოხემცევისა და ბ. ლეონტიევის განმარტებები ემყარება ლ. ედვინსონის შეხედულებებს ინტელექტუალური კაპიტალის შესახებ. ვ. ინოხემცევი მას შემდეგნაირად განმარტავს: „ინფორმაცია და ცოდნა, ეს სპეციფიკური, თავისი ბუნებითა და საწარმოო პროცესებში მონაწილეობის ფორმებით-ფაქტორები, ფირმის

ჩარჩოებში დებულობენ ინტელექტუალური კაპიტალის სახეს. ინტელექტი წარმოადგენს რაღაც კოლექტიური ტვინის მსგავსს, რომელშიც აკუმულირებულია მუშაკთა მეცნიერული და ყოველდღიური ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრება და დაგროვილი გამოცდილება, ურთიერთკავშირი და ორგანიზაციული სტრუქტურა, საინფორმაციო ქსელი და ფირმის იმიჯი“.

ამა თუ იმ სუბიექტის ინტელექტუალურ კაპიტალში ბ. ლეონტიევი იხილავს მის ხელთ არსებული ინტელექტუალური აქტივების ერთობლიობას, ინტელექტუალური საკუთრების ჩათვლით; მის ბუნებრივ და შექმნილ ინტელექტუალურ ჩვევებსა და უნარს, მის მიერ დაგროვილ ცოდნასა და სხვა სუბიექტებთან სასარგებლო ურთიერთობებს.

ინტელექტუალური კაპიტალის არსის უფრო სრულყოფილად გაგებისათვის აუცილებელი იქნება განისაზღვროს მისი სტრუქტურა. იგი შედგება ადამიანისეული, ორგანიზაციული (სტრუქტურული) და მომხმარებლის (კლიენტის) კაპიტალისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისეული კაპიტალის თეორიაგასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მეცნიერ ეკონომისტთა ინტენსიური კვლევის ობიექტია, ხოლო 90-იანი წლებიდან ინტელექტუალური კაპიტალი ასევე მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა კვლევისა და დამუშავების ობიექტი გახდა, მათი შედარება და გამოიჯვანა არ მომხდარა სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები: არის თუ არა ინტელექტუალური კაპიტალი ადამიანისეული კაპიტალის ნაწილი? რამენადაც იგი წარმოადგენს ადამიანის უნიკალურ, უპირველეს ყოვლისა კი მის შემოქმედებით უნარს. თუ პირიქითაა: ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს ინტელექტუალურის ნაწილს, რამდენადაც ინტელექტუალური კაპიტალის ცნება უფრო ფართოა ვიდრე მხოლოდ ინტელექტი და ადამიანის განსაკუთრებული სპეციფიკური უნარი, ასევე მისი ფსიქოლოგიური და მორალური თავისებურებები.

ინტელექტუალური კაპიტალის ანალიზი გავძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არსებობს ამ კატეგორიისადმი ორგვარი მიდგომა.

პირველი პოზიციის მიხედვით ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის განსაკუთრებულ ნაწილს და განპირობებულია საქმიანობის გაცვლის განსაკუთრებული სფეროს წარმოშობით მეორე მიმართულების მიხედვით, ინტელექტუალური კაპიტალი უფრო ფართო და რთული ცნებაა ივდრე ადამიანისეული კაპიტალი. მასში შედის ინფორმაცია, როგორც დამოუკიდებელი საწარმოო რესურსი იმისათვის რომ არ მოხდეს ადამიანისეული და ინტელექტუალური კაპიტალების ერთმანეთში არევა საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ მათი შედარებითი დახასიათება. ასეთი დახასიათება აუცილებელია მითუმეტეს, რომ ეს ცნებები ერთი და იგივე საფუძველზეა წარმოშობილი, ზოგჯერ კი ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე ერთმანეთეთის ნაცვლად გამოიყენებიან.

ისეთი მაშტაბური ცნებების გამოკვლევა როგორცაა ადამიანისეული და ინტელექტუალური კაპიტალი, საჭიროებს მათ განხილვას სხვადასხვა დონეებზე.

მიკროდონეზე მათი განხილვის შედეგად შეიძლება აღვნიშნოდ შემდეგი: ადამიანისეული კაპიტალი, მიკროდონეზე წარმოადგენს კოლექტივს, რომელიც ფლობს დაგროვილი ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მობილურობის გარკვეულ მოცულობას, რაც მათ საშუალებას აძლევს შექლონ მათ წინაშე არსებული

ამოცანების სწრაფად და მაღალხარისხოვნად გადაწყვეტა. უმთავრესი კი ის არის, რომ მუდმივად გაადიდონ დამატებული ღირებულების წარმოება, ხელფასზე დანახარჯის გადიდების გარეშე. ინტელექტუალური კაპიტალი ერთი მხრივ წარმოადგენს დაგროვილ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ცოდნას, რომელიც უშუალოდ გამოიყენება ახალი ღირებულებების შექმნაში, ან საწარმოს ორგანიზაციაში (მენეჯმენტში). რა თქმა უნდა დაგროვილი ცოდნა და უნარი განუყოფელია მისი მფლობელისაგან-ადამიანისაგან. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მას შეიძლება მივაკუთნოთ მხოლოდ მაღალკვალიფიცირებული პერსონალი. მეორე მხრივ ინტელექტუალური კაპიტალი გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის არამატერიალურ ფაქტორებს (დაწყებული ორგანიზაციური სტრუქტურიდან, დამთავრებული ბუნალტრულ არღრიცხვაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფით, თვით ამ საბუნალტრო პროგრამამ, რომელიც დამუშავებულია მოცემული წარმოების საჭიროებისათვის, შეიძლება არსებითად შეცვალოს საწარმოს ეფექტიანობა გაამარტივოს აღრიცხვა გამოავლინოს დამატებითი რეზერვები.

ამრიგად ინტელექტუალური კაპიტალი მიკრო დონეზე წარმოადგენს ფირმის ადამიანისეული კაპიტალის ნაწილს (უფრო განათლებული ადამიანები, იდეების გენერატორები უნიკალური უნარის მქონენი, უმაღლესი რგოლის მენეჯერები) და ობიექტური ფაქტორების-არამატერიალური აქტივების, მათ შორის პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს, სავაჭრო მარკებისა და სხვა. ასევე, ორგანიზაციური სტრუქტურის, ელექტრონული ქსელის, მონაცემთა ბაზების, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საშუალებების ერთობლიობას.

აღნიშნული ცნებების განხილვა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს შრომისუნარიანი, განათლებული მოსახლეობის ერთობლიობას. მაკრო დონეზე დამიანისეული კაპიტალის არასრულყოფილად გამოყენებისას, მაშინ როცა ადგილი აქვს მასობრივ უმუშევრობას, ადამიანისეული კაპიტალი გარდაიქმნება პოტენციალად, რამდენადაც მოცემულ მომენტში არ შეუძლია აწარმოოს მის კვლავ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შესაბამისი შემოსავალი. ამდენად, აღარ არსებობს კაპიტალის ერთერთი ნიშანთაგანი-თვითზრდის შესაძლებლობა და იგი კაპიტალისაგან განსხვავებით, როგორც საწარმოო რესურსი წყვეტს არსებობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული იქნება განათლებული და კვალიფიციური მოსახლეობა, ადამიანისეული კაპიტალი, როგორც კაპიტალის ერთერთი სახეობა შეასრულებს თავის ფუნქციას.

ინტელექტუალური კაპიტალი მაკრო დონეზე ისევე როგორც მიკრო დონეზე, წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის ნაწილისა და სტრუქტურული კაპიტალის ერთობლიობას. უფრო დაწვრილებით ანალიზისას შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანისეული კაპიტალის ნაწილი, რომელიც შედის ინტელექტუალურ კაპიტალში, როგორც მისი ორგანული ნაწილი, ნამდვილად წარმოადგენს მოსახლეობის უფრო განათლებულ ნაწილს რომლებიც არიან ერის კულტურული, სულიერი, ინტელექტუალური პოტენციალის მატარებლები. აქ უნდა შევიდეს პირველ რიგში ინტელექტუალური ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც გულის ხმობს: 1. მოსახლეობის მაღალ განათლებულ ნაწილს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი და

უმაღლესის შემდგომი განათლება და აქვს სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხი. ადამიანისეული კაპიტალის ნაწილის ასეთი განმარტების წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს მიეკუთნება ის ფაქტი, რომ ადამიანი რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ან სამეცნიერო ხარისხი, შეიძლება სულაც არ იყენებდეს მიღებულ ცოდნას მისი საქმიანობის პროცესში (მაგალითად არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით). მიუხედავად ამისა, იგი მაინც წარმოადგენს მცოდნე, სულიერი და კულტურული ფასეულობის მატარებელ ადამიანს და ამასთანავე მონაწილეობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში, როგორც ინტელექტუალური კაპიტალი.

ინტელექტუალური კაპიტალი კომპლექსური ცნებაა, რომელიც კავშირშია არა მარტო წარმოებასთან, არამედ იგი ზეგავლენას ახდენს მთელ კვლავწარმოებით პროცესზე. ინტელექტუალური კაპიტალი ფუნქციონირებს არა მარტო წარმოებაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, ცვლის რა ადამიანის ღირებულებებსა და მოთხოვნილებებს, გადაჰყავს იგი არამატერიალურ სფეროში, უბიძგებს მატერიალური თუ ინტელექტუალური თვითრეალიზაციისაკენ. ნაწილობრივ ეს პროცესი, როგორც აღნიშნული გვექონდა აიხსნება იმით, რომ თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ წარმოების ახალი რესურსების, ცოდნისა და ინფორმაციის გაჩენამ განაპირობეს წარმოებისა და მოხმარების ცნებების გაიგივება.

3. ადამიანისეული კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც უნდა შევიდეს ინტელექტუალურ კაპიტალში მიეკუთვნება ასევე საშუალო დონის ბიზნესმენები და მეწარმეები. ასეთი დაყოფა შემთხვევითი არ არის. მოსახლეობის ამ კატეგორიის საქმიანობა თავის მხრივ უნიკალურია და გულისხმობს შემოქმედებითი ელემენტებს, გონებრივ და ინფორმაციულ პოტენციალს. თავისი არსით ისინი წარმოადგენენ იდეების გენერატორებს. მათში არ შედის წვრილი მეწარმეობლები რადგანაც ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან მომსახურების სფეროს პრიმიტიულ დარგებში და წვრილ ვაჭრობაში, რაც არ საჭიროებს არავითარ ინტელექტუალურ უნარს შემოქმედებასა და იდეების გენერაციას.

ინტელექტუალური ორგანიზაციული (სტრუქტურული) კაპიტალი, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის ნაწილი ეროვნულ დონეზე არის შემდეგი ოთხი ელემენტის ერთობლიობა:

1. საზოგადოების ინფორმაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება: ა. ინფორმაციის შემგროვებელი და შემნახველებისაგან (მასში შედის უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა სახეობის მონაცემთა ბაზები ასევე ნებისმიერი ხასიათის ბიბლიოთეკები) ბ. მონაცემებისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებები და ხერხები. ამ შემთხვევაში პრინციპულს წარმოადგენს კავშირის სახეები ხარისხის მიხედვით ასევე მათი ხასიათის, ხელმისაწვდომობის სიჩქარის და საიმედოობის მიხედვით.

საზოგადოების ინფორმაციული სტრუქტურის გამოყოფა, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი განპირობებულია იმით, რომ

თანამედროვე საზოგადოებაში, სწორედ ინფორმაცია ხდება წარმოების უმთავრესი რესურსი.

2. სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებების საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის ნაწილს, რასაც მივყავართ ეროვნული სიმდიდრის ზრდისაკენ. ეს დებულება ეფუძნება იმას, რომ ნებისმიერი ინტელექტუალური წარმოება გულისხმობს პროცესის ორ მხარეს-ცოდნისა და ინფორმაციის წარმოებას და მათ მოხმარებას. ცოდნისა და ინფორმაციის როგორც წარმოების უნიკალური რესურსების სპეციფიკური თავისებურებების გამო ეს პროცესი დებულობს ჩაკეტილ ხასიათს, ნებისმიერი მათი საწარმოო თუ არასაწარმოო მოხმარება წარმოშობს ახალ ეტაბზე ცოდნისა და ინფორმაციას, მაგრამ უკვე განახლებულს, გადიდებულს რაოდენობრივად თუ გაუმჯობესებულს ხარისხობრივად. სწორედ ამიტომ ნებისმიერი ინტელექტუალური პროდუქტი ასე თუ ისე მონაწილეობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში, პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც.

3. განათლების სისტემა (საშუალო, უმაღლესი, უმაღლესის შემდგომი). აქ პრინციპულ მომენტს წარმოადგენს განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ფაქტორები. სწორედ განათლების სისტემა განაპირობებს ერის კულტურულ, სულიერ და ინტელექტუალურ პოტენციალს. იმ შემთხვევაში თუ განათლების სისტემაში ჭარბობს ფასიანი სწავლება, მაშინ ვლინდება ორი უარყოფითი მომენტი. ჯერ ერთი, არ ხდება საჭირო ხარისხის ინტელექტუალური შერჩევა. ნიჭიერი ახალგაზრდების ნაწილი რჩება განათლების გარეშე. ამასთანავე, უფასო სწავლების სახელმწიფო პროგრამები მათ ვისაც არაორდინალური შესაძლებლობები აქვს, არ აძლევს საშუალებას სრულყოფილად დაძლიონ ეს პრობლემები ასეთი სიტუაცია პირდაპირ აისახება წარმოების ინტერესებზე. მეორე-მასიური ფასიანი სწავლების პროცესში მცირდება ერის კულტურული და ინტელექტუალური დონე, რაც ასევე პირდაპირ აისახება საზოგადოების კვლავ წარმოების სისტემაზე.

4. მმართველობის სახელმწიფო სტრუქტურა,სადაც განსხვავებული ყურადღება ეთმობა კანონების მიღებასა და რეალიზაციის სისწრაფესა და ეფექტიანობას. ე.ი. სახელმწიფოს, როგორც კანონმდებელი, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შედეგიანობის ხარისხს. თანამედროვე პირობებში, ცოდნისა და ინფორმაციის დიდი მნიშვნელობის გამო, ცალკე უნდა გამოიყოს ქვეყნის სამეცნიერო და საინფორმაციო პოტენციალის ეფექტური დაცვა. ეს უკანასკნელი გულისხმობს, როგორც სამართლებრივ გარემოს (საკანონმდებლო აქტები), ასევე ამ კანონების გამოყენებას.

მომხმარებლის (კლიენტის) კაპიტალი ეს არის საწარმოს კაპიტალური, საიმედო, გრძელვადიანი და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობის სისტემა თავის კლიენტებთან და მომხმარებლებთან. თავისი არსით ეს არის კომპლექსური რთული არამატერიალური აქტივი. მას მიეკუთვნება ბრენდები, კლიენტურა, საფირმო სახელწოდება, გასაღების არხები, სალიცენზიო და სხვა ხელშეკრულებები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დამატებითი ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არ მიეკუთვნება არც ერთ სტრუქტურულ რგოლს, მაგრამ განსაზღვრავენ არა მარტო ინტელექტუალური კაპიტალის ფუნქციონირების პირობებს, არამედ მის

ხარისხობრივ მახასიათებლებს. ასეთებია, სამედიცინო მომსახურების სისტემა, ეროვნული კულტურის განვითარების დონე, სოციალური სფეროს განვითარება, საგარეო, არაერონული ფაქტორების სისტემა; კერძოდ, ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. აქ იგულისხმება ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორცაა მაგალითად „ტვინების“ მოზიდვა სხვა ქვეყნებიდან ან ელიტარული სპეციალისტების ქვეყანაში მომზადებაზე აქცენტის გადატანა. .

ლიტერატურა - Литература - References

- 1.Гелбрейт Д. Экономические теории и цели общества М .1979 с.49
2. Стюарт Т. Интеллектуальный капитал-новый источник богатства организаций [http//scd. centro. ru](http://scd.centro.ru)
- 3.Edvinsson, L. and Malone, M.S. Intellectual Capital: Realizing your Companys True Value by Finding Its Hidden Brainpower, Harper Business, New York, 1997.
- 4.Брукинг, Э. Интеллектуальный капитал. Пер.с англ.под ред. Л.Н.Ковчанин, Питер,2001.с.30
5. Иноземцев, В.Л. За пределами экономического общества, М. `Academia` 1988.с.115
6. Леонтиев, Б.Б. Цена интеллекта. Интеллектуальный капитал в российском бизнесе. М. «Акционер»,2002.с.101.

ЭКОНОМИКА

Шорена Маглакелидзе

Сущность и структура интеллектуального капитала

Резюме

Интеллектуальный капитал представляет собой совокупность знаний, навыков, умении человека, его мобильность(способность к восприятию новой информации, обучению, переподготовке, адаптации к новым условиям) и креативность (способность неординарно мыслить, формировать идей), обеспечивающих возможность создания продукта

Структура интеллектуального капитала определяется из тремя основными составляющими частями: человеческим, организационным(структурным) и потребительским (клиентским) капиталом.

ECONOMY

Shorena Maglakelidze

Essence and Structure of the Intellectual Capital

Summary

The intellectual capital presents universe of knowledge, skills, abilities of a human being, his mobility (ability of nonordinary thinking, formation of ideas) supporting a possibility of creating a product.

The structure of the intellectual capital is determined by three basic components: human, organizational (structural) and consumer (client) capital.

Сущность и структура интеллектуального капитала

Экономическое состояние нации в значительной мере определяется способностью экономики создать и эффективно использовать интеллектуальный капитал .

Интеллектуальный капитал представляет собой совокупность знаний, навыков, умений человека, его мобильность (способность к восприятию новой информации, обучению, переподготовке, адаптации к новым условиям) и креативность (способность неординарно мыслить, формировать идеи), обеспечивающих возможность создания продукта.

Структура интеллектуального капитала определяется тремя основными составными частями: человеческим, организационным (структурным) и потребительским (клиентским) капиталом.

Кроме этого существуют дополнительные факторы, которые не относятся к одной структурной группе, но определяют не только условия функционирования интеллектуального капитала но и их качественные характеристики. К этому относятся: уровень развития национальной культуры, социальной сферы, внешних внешнеэкономических факторов, в частности, внешнеэкономическая политика в области производства и реализации продукта.

Shorena

Maglakelidze

Essence and Structure of the Intellectual Capital

Economic position of the nation is determined to a great extent by a capability of economics to create and effectively use of the intellectual capital.

The intellectual capital presents universe of knowledge, skills, abilities of a human being, his mobility (ability of nonordinary thinking, formation of ideas) supporting a possibility of creating a product.

The structure of the intellectual capital is determined by three basic components: human, organizational (structural) and consumer (client) capital.

Besides this, there exist the additional factors, which do not belong to one structural group, but they determine functioning not only of the conditions of intellectual capital, but also their qualitative characterizers. To this belong: the level of national culture development, social sphere, inner no national factor, in particular, external economic policy in the area of production and realization of the product.

